

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის №7

დადგენილება

ქ. თბილისი
02.06.2021

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის N05/91 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-13 მუხლისა და სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის 2.5 მუხლის საფუძველზე

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც არა აქვს მოპოვებული დოქტორის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი, მაგრამ მისი კვალიფიკაცია დადასტურდება შესაბამისი მიმართულების ჯგუფის ხელმძღვანელობის 10 (ათ) წლიანი გამოცდილებით.
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კადრებისა და კანცელარიის სამსახურს;
3. დადგენილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირების მიერ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



გიორგი შალუტაშვილი